ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N12

30.04.2018

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:45 საათი

გიუროს სხდომათა დარგაზი

მიმდინარე წლის 30 აპრილს, 14:45 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I-ლი კვარტალი)* **(მომხსენებელი - ზაზა ცინაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

საანგარიშო პერიოდში სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია მომხსენებელმა დეტალურად გააცნო კომისიას.

ზაზა ცინაძე-სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - გეგმა - 747, 500 ათასი ლარი, ხარჯი - 561, 715 ათასი ლარი, შესრულება - 75,15%-ია, სპორტული ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა 26 (ოცდაექვსი) თბილისის და 4 (ოთხი) ეროვნული ფედერაცია, რამაც ჯამში 64 (სამოცდაოთხი) პროექტი შეადგინა, რომლებშიც ჩართული იყო 111 000 - მდე ბენეფიციარი. საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება გაიმართა ჰოკეიში ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მამაკაცებს შორის, ძალისმიერ სამჭიდსა და სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში საერთაშორისო ტურნირი, რაპიდსა და ბლიცში (ჭადრაკში) ევროპის ქალთა 2018 წლის, ასევე „მილიონი სვლა" ჭადრაკში, "ძიუდოში ქ. თბილისის გრან-პრის ტურნირი 2018" და სხვა. პირველ კვარტალში აღებული ვალდებულებების თანხის ანგარიშსწორება მოხდა მიმდინარე თვის ბოლოს.

მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) გეგმა - 656, 300 ათასი ლარი, ხარჯი - 643,750 ათასი ლარი, შესრულება - 98,09%, პროგრამაში 350 (სამას ორმოცდაათი) მწვრთნელია ჩართული, რომლებიც სპორტის 49 (ორმოცდაცხრა) სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - გეგმა - 1 530 000 ლარი, ხარჯი - 594,881 ათასი ლარი, შესრულება - 38,88% აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ წყნეთის საჭიდაო დარბაზისთვის გადაირიცხება მხოლოდ პროექტირების თანხა და უახლოვეს პერიოდში დაიწყება სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად თანხის დანარჩენი ნაწილი, რაც გეგმითაა გათვალისწინებული მოგვიანებით გაიცემა. მოგეხსენებათ, რომ ნაძალადევის სპორტული კომპლექსის მშენებლობა უახლოვეს პერიოდში დასრულდება, უკვე მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს, სპორტულ სივრცეში მოეწყობა ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი და 2 (ორი) საცურაო აუზი (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ). ასევე სპორტსმენებისთვის მოეწყობა ფიტნეს-დარბაზი, გასახდელები და კაფე. სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი მოემსახურება 1000-ზე მეტ ბენეფიციარს.

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) - გეგმა - 97,500 ათასი ლარი, ხარჯი - 89,000 ათასი ლარი, შესრულება - 91,28%, აღნიშნული პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს გეგმის მიხედვით.

პარასპორტის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, წელს ვგეგმავთ პარაფარიკაობაში მაშტაბური ტურნირის ჩატარებას, ცენტრში 15 (თხუთმეტი) სპორტულ სახეობაში ჩართულია 191 (ასოოთხმოცდათერთმეტი) პარასპორტსმენი. მიმდინარე წელს იგეგმება კიდევ ერთი სახეობის - პარარაგბის განვითარება. (კოდი 08 06 06) პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა - გეგმა - 279,625 ათასი ლარი, ხარჯი - 237,735 ათასი ლარი, შესრულება - 85,02%, აღნიშნულიც გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

საქალაქო სამსახურის სპორტის განყოფილების დაქვემდებარებაში 9 (ცხრა) სპორტული ა(ა)იპია, რომლებიც სპორტის 35-მდე სახეობაში ემსახურება 6 000-მდე ბენეფიციარს. უახლოვეს მომავალში თბილისში სპორტის განვითარების მიზნით, სპორტული ფედერაციები და კლუბები სპორტული ეკიპირებითა და ინვენტარით აღიჭურვება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ ხელს შეუწყობს სპორტსმენებს უკეთესი შედეგების მიღწევაში.

მოგახსენებთ, ასევე (კოდი 08 08) ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ, პირველი კვარტალი ძირითადად პასიურია, რადგან დაგეგმვის და შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, ხოლო

ზაფხულში უფრო აქტიური პროცესები გველის, 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის გეგმა- 411 950 ათასი ლარია, ხარჯი - 222 294,13 ლარი, სხვაობა - 189 655,87 ათასი ლარი, შესრულება - 53,96.%. 2018 წლის I კვარტალში ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელიც ,,ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა იყო ,,თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი 2018". აღნიშნული ფორუმის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც განხორციელდება თემატურად II და III კვარტალში.

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის გეგმა – 218, 900 ლარი, ხარჯი - 116 065,49 ლარი, სხვაობა - 102 834,51 ლარი, შესრულება - 53,02%.

ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის გეგმა - 193 050 ლარი, ხარჯი - 106 228,64 ლარი, სხვაობა - 86 821,36 ლარი, შესრულება 55,03% .

2018 წლის II კვარტალში იგეგმება თბილისში სპორტის განვითარების მიზნით, სპორტული ფედერაციები და კლუბები სპორტული ეკიპირებითა და ინვენტარით აღიჭურვება.

დასრულდება ა(ა)იპ ,,**გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის**" ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის მშენებლობა.

გამოცხადდება **ტენდერი დაბა წყნეთში**, ამილახვარის ქ.N21-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოებზე.

გამოცხადდება ტენდერი თბილისის ორ რაიონში - **ვარკეთილსა და დიდ დიღომში** - მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე.

აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველ შაბათს იგეგმება **ფესტივალი „თბილისის"** ჩატარება, სლოგანით **„გააცოცხლე ქალაქი"**. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება სპორტული, ახალგაზრდული და გასართობი აქტივობები.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე- მადლობა გადაუხადა მომხსენებელს პრეზენტაციისათვის და დაინტერესდა ფესტივალის „თბილისის" ფარგლებში, გარდა სპორტული აქტივობებისა კულტურული ღონისძიებები თუ იგეგმება სამომავლოდ, ასევე წყნეთში სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებით, ისევ პირვანდელი საპროექტო ვარიანტით იგეგმება თუარა მშენებლობა.

ზაზა ცინაძე- კულტურული ელემენტებით პროექტი ,,თბილისი" თანდათან უფრო გამრავალფეროვნდება, სასტარტო ღონისძიებაზეც იყო გარკვეული ტიპის კულტურული ელემენტები, თუნდაც დასკვნითი კონცერტის სახით. რაც შეეხება წყნეთის საჭიდაო კომპლექსს, სამუშაოები ჩატარდება ისე, როგორც პროექტშია გაწერილი და ცვლილებები არ იგეგმება.

დავით ჭელიძე-დაინტერესდა ახალგაზრდული ბანაკების ლოკაციებთან დაკავშირებით.

ზაზა ცინაძე- მაშტაბური ბანაკები სამინისტროს ორგანიზებით ხორციელდება, ჩვენ მუნიციპალურ დონეზე ვფიქრობთ თემატური ბანაკების გაკეთებას, რასაც საკმაოდ დიდი მოთხოვნა აქვს და ვფიქრობ წარმატებულად გავართმევთ თავს.

დავით რურუა- გამოვიდა ინიციატივით, რომ მინი წყალბურთის შეჯიბრი ჩატარდეს ლისის ტბაზე, რასაც მომხსენებელი და კომისიამ მხარი დაუჭირა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ დადებითად შეაფასა ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I-ლი კვარტალი)* **და ცნობად მიიღო.**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას გააცნო მიმდინარე წლის 3 მაისს ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნულ შეხვედრაზე საუბარი შეეხება ურთიერთთანამშრომლობას და საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებს. მისი თქმით, უახლოვეს მომავალში მსგავსი ფორმატით ასევე ჩატარდება სამუშაო შეხვედრა სპორტულ ფედერაციებთანაც.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე